სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №13

ქ. ბორჯომი   „ 26 " მაისი 2016 წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო

ერთის მხრივ ა(ა)იპ. "ბორჯომი გამწვანება 2012" მისამართი: ბორჯომი, სოფ. ჩითახევი, საინდეტიფიკაციო კოდი 426109766 (შემდგომში დამკვეთი) მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის დირექტორის გოდერძი ლონღაძის სახით.

და მეორეს მხრივ ა(ა)იპ. "ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობა" მისამართი: ბორჯომი მესხეთის ქ.№5, საინდენტიფიკაციო კოდი 426111897, (შემდგომში "შემსრულებელი") მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის დირექტორის მერაბ იობაშვილის სახით.

ვხელმძღვანელობთ რა "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის II თავის "შესყიდვის საშუალებები", 10[1] მუხლის მე-3-ე პუნქტის "ბ"-ე ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ გამარტივებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1
ხელშკრულების შესყიდვის ობიექტის დასახელება

ა(ა)იპ "ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობა." მარკა,მოდელი-ზილ-432932, სახელმწიფო ნომერი ILO 274–ი, გამოშვების წელი-2007. ტიპი-სპეციალიზებული, მომსახურება. ყვავილებისა და მარადმწვანე ბუჩქების მოსარწყავად საჭიროებისამებრ. (კოდი: CPV 601 00000)

მუხლი 2
ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ღირებულება შეადგენს

თვე	მორწყვა	რეისი	ერთი რეისის ღირებულება ლარი	სულ ღირებულება ლარი
ივნისი	5–ჯერ	5	40	200
ივლისი	6–ჯერ	6	40	240
აგვისტო	6–ჯერ	6	40	240
სექტემბერი	4–ჯერ	4	40	160
ოქტომბერი	4–ჯერ	4	40	160
სულ ჯამი				1000 ლარი

მთლიანი თანხა განისაზღვროს ყვავილებისა და მარადმწვანე ბუჩქების მოსარწყავად საჭიროებისამებრ 1000 (ერთიათასი) ლარის ოდენობით. თანხა მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადს.

„დამკვეთი" ________   „შემსრულებელი" ________

მუხლი 3
საქონლის მიწოდების პირობები

3.1 შემსრულებელი ვალდებულია მიაქიროს დამკვეთს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზილ-432932 სახელმწიფო ნომერი ILO 274-ი.
3.2. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას საწვავით უზრუნველყოფაზე თავისივე ხარჯებით.

მუხლი 4
შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარება მოხდება მიღება – ჩაბარების აქტის საფუძველზე.
4.2 შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტების ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს შემსრულებელი.
4.3 დამკვეთი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს შემსრულებელს შემოწმების შედეგები დაწუნებული შესყიდვის ობიექტის წუნდების მიზეზების მითითებით.

მუხლი 5
ანგარიშსწორების ფორმა და ადგილი

5.1 ანგარიშსწორება შემსრულებელთან განხორციელდება (უნაღდო) ანგარისწორების ფორმით.

მუხლი 6
შესყიდვის ობიექტის ხარისხი

6.1 ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის და ექვემდებარებოდეს სახელმწიფო სტანდარტებს.

მუხლი 7 ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება შემსრულებელთან განხორციელდება ლარებში.

მუხლი 8
ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა
8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან დამკვეთისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
8,4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 9
უფლებების გადაცემა

9.1 შემსრულებელმა დამკვეთის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

მუხლი 10
ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
10.2 ამ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

„დამკვეთი" ____ გ. ... „შემსრულებელი" ____

მუხლი 11
ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით და არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე ააგებენ პასუხს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
11.2 შემსრულებელი უფლებამოსილია, საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დააკოსროს მიმწოდებელს საურავი ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1 პროცენტის ოდენობით.
11.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტს, დამკვეთს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 12
ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

12.1 დამკვეთს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, შემსრულებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
(ა) თუ შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან დამკვეთის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
(ბ) თუ შემსრულებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს შემსრულებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 13
ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1 შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ახორციელებს დამკვეთი ორგანიზაციის ინსპექტირების ჯგუფი;

მუხლი 14
ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

მუხლი 15
სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 დამკვეთმა და შემსრულებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში დამკვეთი და შემსრულებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

მუხლი 16
გამოყენებული სამართალი

16.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 17
ხელშეკრულების ენა

17.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე.

"შემსრულებელი" _____

მუხლი 18
გადასახადები და დაბეგვრა

18.1 ადგილობრივი შემსრულებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 19.
ხელშკრულების მოქმედების ვადა

19.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის თარიღიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე..

ყოველივე ზემოხსენებულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი მნიშვნელობის მქონე ეგზემპლიარად, თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან 1 (ერთი) გადაეცემა შემსრულებელს ხოლო 1 (ერთი) დამკვეთს.

მუხლი 20. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

"დამკვეთი"
ა(ა)იპ "ბორჯომი გამწვანება 2012". საიდენტიფიკაციო კოდი: 426109766, მის: ბორჯომი სოფ ჩითახევი. სახელმწიფო ხაზინა, სახაზინო კოდი:748317015 ელ-ფოსტა: **mayvalalacabidze@gmail.com**, ტელ: 593 68 55 99

"შემსრულებელი"
ა(ა)იპ "ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობა" მის: ბორჯომი, მესხეთის ქ. №5 საიდენტიფიკაციო კოდი: 426111897, სახელმწიფო ხაზინა, სახაზინო კოდი:748337499 ელ-ფოსტა: **borjomisdasuptaveba2015@gmail.com** *ტელ. 551 90 80 01*

დამკვეთი	შემსრულებელი
ა(ა)იპ, "ბორჯომი გამწვანება 2012"	ა(ა)იპ "ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობა"
დირექტორი	დირექტორი
მაყვალა ცაბიძე	მერაბ იობაშვილი